საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თავართქილაძე კუკური ანდროს ძე

თავართქილაძე კუკური ანდროს ძე (დ. 17. XII. 1932, სოფ. ვაკიჯვარი, ახლანდ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი), ფიზიკოსი, საქართველოს ეროვნული პრემიის ლაურეატი (2009). ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1985), პროფესორი (1989). 1955 დაამთავრა თსუ-ის ფიზიკის ფაკ-ტი. 1956–71 მუშაობდა თბილ. ჰიდრომეტეოროლ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტში სხვადასხვა თანამდებობაზე. 1971 მუშაობა დაიწყო ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრ. ინ-ტში კლიმ. ცვლილების ლაბორატორიის გამგედ, 1979 აქვე ჩამოაყალიბა და ხელმძღვანელობდა კლიმატოლოგიისა და ბუნებრივი პროცესების მათ. მოდელირების განყ-ბას; ამჟამად ინ-ტის მთ. მეცნიერი თანამშრომელია.

თ-ის სამეცნ. შრომები ეხება კლიმ. ცვლილების, ატმოსფეროს გაჭუჭყიანებისა და -რადიაციული გამოკვლევების სამეცნ. მიმართულებებს. თ-მ ერთ-ერთმა პირველმა შექმნა ატმოსფეროს გაჭუჭყიანების განსაზღვრის დისტანციური მეთოდი, გამოიკვლია თავისუფალი ატმოსფეროს თერმული სტრატიფიკაციის გავლენა სეტყვის წარმოქმნის პროცესზე. შექმნა ხელსაწყო „ნიადაგის ზედაპირის ტემპერატურის თერმოელექტრული თვითმწერი", რ-იც დანერგილი იყო საბჭ. კავშირის ჰიდრომეტეოროლოგიურ ქსელში.

თ. 1980–91 იყო საკავშ. მეცნ. აკად. რადიაციის შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისიის წევრი, 2005-იდან არის აშშ-ის ბიბლიოგრ. ინ-ტის სამეცნ. საბჭოს საზღვარგარეთელი წევრი. დაჯილდოებულია „ამერიკის ღირსების მედლით" (2002). ბოლო წლებში გამოქვეყნებული საქართვ. ჰავის ცვლილების ამსახველი სამეცნ. შრომათა ციკლისათვის მიენიჭა საქართვ. ეროვნ. პრემია.